

შპს „სერვის პლაზა“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია.....	6
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	7
განცხადება შესაბამისობის შესახებ.....	7
ოპერაციები უცხოურ ვალუტაში	7
ფული და ფულის ეკვივალენტები.....	8
2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
3. ძირითადი საშუალებები	13
4. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13
5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	13
6. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	14
7. ფინანსური რისკები.....	14
8. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	14

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის

აქტივები	შენიშვნები	2021 წელი	2020 წელი
		ლარი	ლარი
მიმდინარე აქტივები			
ნაღდი ფული	5	65,211	117,442
სავაჭრო მოთხოვნები	2	356,362	383,859
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		665,551	548,477
სხვა მოკლევადიანი აქტივები		83,817	18,624
სულ მიმდინარე აქტივები		1,170,941	1,068,401
გრძელვადიანი აქტივები			
არამატერიალური აქტივები		6,782	8,327
ძირითადი საშუალებები	3	75,590	82,100
სულ გრძელვადიანი აქტივები		82,372	90,427
სულ აქტივები		1,253,314	1,158,828
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4	852,234	701,469
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		65,522	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		917,756	701,469
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		370,700	370,700
აკუმულირებული მოგება/დაუფარავი ზარალი		86,659	152,832
მიმდინარე წლის მოგება-ზარალი		(121,801)	(66,173)
სულ კაპიტალი		335,558	457,359
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,253,314	1,158,828

შპს „სერვის პლაზა“-ს დირექტორი
 ნინო ფირცხალავა

7-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

2021 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	შენიშვნები	2021 წელი	2020 წელი
ამონაგები		2,213,869	2,120,015
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(1,414,010)	(1,508,918)
საერთო მოგება		799,858	611,096
სხვა შემოსავალი		19,093	80,468
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	1	(916,954)	(732,521)
ცვეთა და ამორტიზაცია		(11,966)	(14,412)
მოგება ზარალი საკურსო სხვაობიდან		(11,832)	(10,803)
სულ საოპერაციო ხარჯები		(921,660)	(677,269)
მოგება დაბეგვრამდე		(121,801)	(66,173)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მიმდინარე წლის მოგება		(121,801)	(66,173)

2021 დასრულებული წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	საწესდებო კაპიტალის ცვლილება	გაუნაწილებელი მოგება	პერიოდის მ/ ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	370,700		152,832		523,532
წლის შემოსავალი/ზარალი				(66,173)	
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	370,700		152,832		457,359
წლის შემოსავალი/ზარალი				(121,801)	
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	370,700		86,659		335,558

შპს „სერვის პლაზა“-ს დირექტორი
ნინო ფირცხალავა

7-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

2021 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2021 წელი	2020 წელი
შემოსავალი	2,339,357	2,172,347
სულ ნედლეულის გასავალი	(1,166,115)	(1,116,638)
ხელფასები	(537,915)	(368,640)
სხვა ხარჯები	(242,076)	(249,085)
გადასახადები	(445,482)	(389,126)
სულ ფული და ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(52,230)	48,858
ძირითადი საშუალებების შეძენა		(3,464)
სულ ფული და ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	(3,464)
სულ ფული და ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-	-
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	117,442	72,048
ფული და ფულადი სახსრების ცვლილება პერიოდის განმავლობაში	(52,230)	45,394
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	65,211	117,442

შპს „სერვის პლაზა“-ს დირექტორი
ნინო ფირცხალავა

7-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ზოგადი ინფორმაცია

შპს „სერვის პლაზა“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2013 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართი არის: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ჩაჩავას ქ., N2-4-6-8-10-12.

შპს „სერვის პლაზა“ არის სერვისი, რომელიც ახორციელებს ელექტრო ტექნიკის შეკეთებას. იგი გაყიდვებს ახორციელებს მარკეტის ტიპის მაღაზიის მეშვეობით, ასევე აქვს სასაწყობო და საოფისე ფართი, სადაც ხდება ელექტრო ტექნიკის შეკეთება, აქვს ადგილზე მისვლის სერვისიც. კომპანია თავის მომხმარებლებს სთავაზობს საერთაშორისო და წამყვანი ბრენდების ელექტრო ტექნიკის შეკეთებას, კონდიციონერების მონტაჟს და დემონტაჟს.

კომპანიის კაპიტალის წილობრივი ფლობა 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>2021</u>	<u>2020</u>
კახა ჭოველიძე	48 %	48 %
გია ზაზაშვილი	0.5 %	0.5 %
ლევან ნიკოლაიშვილი	5.5 %	5.5 %
დავით სოფრომაძე	2 %	2 %
გრიგოლ ნიკოლაიშვილი	7.5 %	7.5 %
ზურაბ ტაბიძე	1.5 %	1.5 %
თეა კაკაბაძე	35 %	35 %

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

განცხადება შესაბამისობის შესახებ

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ” (მსს ფასს) (IFRS for SMEs) შესაბამისად.

საქართველოში რეგისტრირებული კომპანია საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერებს აწარმოებს მასს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად. უნდა ჩაითვალოს, რომ ზემოთ ხსენებულ სტანდარტზე კომპანია გადავიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია კომპანიის საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერების საფუძველზე. კომპანია თავის ოქმების კრებულებსა და ჩანაწერებს აწარმოებს ქართულ ლარში და ასევე ქართულ ლარში აწარმოებს ფინანსურ ანგარიშგებებს. ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მსს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობისგან, გამოიყენოს განსჯა, კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას. ის სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი განსჯა და შეფასებებია გამოყენებული, ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დროს და მათი შედეგი მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკასა და ახსნა-განმარტების შენიშვნებში.

ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „კონვერტაციის ხარჯი“. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი: საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

			აშშ დოლარი	ევრო
კურსი	2021 წლის	31	3.0976	3.5040
დეკემბრისთვის				
კურსი	2020 წლის	31	3.2766	4.0233
დეკემბრისთვის				

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს საღაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. სხვა მწარმოებლებზე ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და დღგ-ს გადასახადების გამოკლებით

მიღებული კრედიტ ნოტების აღიარება ხდება ხელშეკრულებაში ან შეთანხმებაში დათქმული პირობიდან გამომდინარე, ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, კერძოდ როდესაც მომწოდებელთან შედარებისას ფიქსირდება დავალიანების ნაკლებობა და დავალიანების შემცირების მიზეზი მომწოდებელს არ აქვს ახსნილი, ან როდესაც კრედიტ-ნოტი მიღებულია ბონუსის სახით კრედიტ ნოტიდან შემოსავალი ემატება საოპერაციო შემოსავალს. მომწოდებლის მხრიდან ინვოისში არსებულ ჩამონათვალთან შედარებისას აღმოჩენილი საქონლის დანაკლისის შემთხვევაში მომწოდებელი იღებს ვალდებულებას აანაზღაუროს დანაკლისის ღირებულება. ეს არსებითად ხარჯების ანაზღაურების კრედიტ-ნოტას გავს და ამ შემთხვევაში ხდება ზემოთ თქმული კრედიტ-ნოტის შემოსავალში აღიარება.

კომპანიის მიერ შესყიდული საქონელი ზოგიერთი დეფექტურია, ამ შემთხვევაში კომპანია იძახებს შემოსავლების სამსახურს და ბრენდის წარმომადგენელს, მათთან შეთანხმებით ხდება დეფექტური საქონლის ჩამოწერა, რომელიც შემდგომ აისახება ხარჯებში შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული აქტის საფუძველზე. აღსანიშნავია რომ მომწოდებელი უნაზღაურობს კომპანიას წუნდებული საქონლის ღირებულებას და მის შეძენაზე დახარჯულ ზედნაღებ ხარჯებს.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, ამჟამად კომპანიას სასესხო ვალდებულება არ გააჩნია.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები, ელექტრო ტექნიკა, საოფისე და სამაღაზიე mowobiloba Seadgens 15–20 procents, ხოლო იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა 15 პროცენტს,

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით განიკვეთით 10%. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქვტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება უდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. შპს „სერვის პლაზა“-ში არ ფიქსირდება ფინანსური იჯარა.

კომპანიაში ფიქსირდება ჩვეულებრივი იჯარა. იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

საქონლის მიღება ხდება საინვოისო ღირებულებით რომელსაც ემატება ტრანსპორტირებისა და დასაწყობების ხარჯები. პერიოდის ბოლოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში“ („ფიფო“) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. სავაჭრო ვალდებულებების კორექტირება აისახება კორექტირების თარიღით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სესხები

კომპანიას სასესხო ვალდებულება არ გააჩნია.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ერთჯერადად დაქირავებულის მომსახურების ანაზღაურების ღირებულება განისაზღვრება ჩატარებული სამუშაოების მიღება ჩაბარების აქტის ან გასავლის ორდერის მიხედვით. გასავლის ორდერში მითითებულია შესრულებული

სამუშაო და ღირებულება და თანხის მიღება. ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი დასტურდება შესაბამისი ხელმოწერებით.

ბონუსების სისტემა (თანამშრომლებზე)

კომპანიას აქვს გამომუშავების სისტემა, რამოდენიმე თანამშრომელს რომლებიც ახორციელებენ ტექნიკის შეკეთებას აქვთ ფიქსირებული ხელფასები და გამომუშავების შემთხვევაში თუ გადააჭარბებს თანხა ფიქსირებულ ხელფასს ამ შემთხვევაში ემატებათ გამომუშავებული თანხა.

1. ადმინისტრაციული ხარჯები

	2021 წელი ლარი
ხელფასის ხარჯი	(628,178)
ტრანსპორტირების ხარჯი	(25,129)
იჯარის ხარჯი	(92,552)
საწვავის ხარჯი	(18,644)
კომუნიკაციის ხარჯი	(9,585)
კომუნალური ხარჯები	(21,941)
სამეურნეო ხარჯი	(13,446)
ბანკის საკომისიო ხარჯი	(14,370)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	(30,662)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(62,655)

2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021 წელი ლარი
მოთხოვნები იურთულბირებზე საქონლს მიწოდებიდან და მომსახურებიდან	95,253
მოთხოვნები ფიზიკურპირებზე საქონლს მიწოდებიდან და მომსახურებიდან	261,109

3. ძირითადი საშუალებები

შინაარსი	ტრანსპორტი და მანქანა დანადგარები	ავიჯი და საოფისე აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოსთვის 2021 წ	54,602	336,457	141,703	532,763
დაგროვილი ცვეთა 2021 წლის ბოლოს	(46,614)	(296,180)	(114,380)	(457,173)

4. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2021 წელი ლარი
ადგილობრივი საქონლის შეძენიდან წარმოქმნილი ვალდებულება	591,485
იმპორტირებული საქონლის შეძენიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	246,454
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	14,295

5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2021 წელი ლარი
ფულად სახსრები საღრში	3,671
ფულ საბანკოანგარიშებზე	61,540

6. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებულ მხარეს შორის ოპერაციები არ ფიქსირდება, თუმცა ფიქსირდება ოპერაციები ისეთ კომპანიებთან, რომელშიც შპს „სერვის პლაზა“-ს მეწილეები მნიშვნელოვან წილს ფლობენ. ურთიერთობა ხორციელდება საბაზრო ფასებით.

7. ფინანსური რისკები

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან. ესენია სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები. კომპანიის რისკის მართვა მიზნად ისახავს კომპანიის ფინანსურ საქმიანობაზე უარყოფითი გავლენის მაქსიმალურად შემცირებას. სავალუტო რისკი არის საფრთხე, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება სავალუტო კურსის ცვლილების გამო შეიცვლება. თუ გავითვალისწინებთ იმას რომ კომპანიის მომწოდებლებიდან მნიშვნელოვანი რაოდენობა არის უცხოელი მომწოდებელი, მაგრამ საქონლის შეძენა ხდება წინასწარი გადხდის პირობით, რაც ნიშნავს, რომ კომპანია არ ექვემდებარება კრედიტორული დავალიანების გადაფასებით გამოწვეულ ფინანსურ რისკებს. თუმცა აუცილებელია სარეალიზაციო პროდუქციის ფასების სწორად დადგენა, რათა არ მოხდეს საბრუნავი თანხების განუზომელი ზრდა შესასყიდი პროდუქციის ლარებში ღირებულების გაზრდის გამო.

8. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2022 წლის 30 სექტემბერს.

შპს „სერვის პლაზა“-ს დირექტორი

ნინო ფირცხალავა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის

მიმდინარე აქტივები	აქტივები შენიშვნები	2021 წელი	2020 წელი
		ლარი	ლარი
ნაღდი ფული	5	65,211	117,442
სავაჭრო მოთხოვნები	2	356,362	383,859
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		665,551	548,477
სხვა მოკლევადიანი აქტივები		83,817	18,624
სულ მიმდინარე აქტივები		1,170,941	1,068,401
გრძელვადიანი აქტივები			
არამატერიალური აქტივები		6,782	8,327
ძირითადი საშუალებები	3	75,590	82,100
სულ გრძელვადიანი აქტივები		82,372	90,427
სულ აქტივები		1,253,314	1,158,828
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4	852,234	701,469
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		65,522	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		917,756	701,469
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		370,700	370,700
აკუმულირებული მოგება/დაუფარავი ზარალი		86,659	152,832
მიმდინარე წლის მოგება-ზარალი		(121,801)	(66,173)
სულ კაპიტალი		335,558	457,359
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,253,314	1,158,828

შპს „სერვის პლაზა“-ს დირექტორი
ნინო ფირცხალავა



7-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს


2021 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	შენიშვნები	2021 წელი	2020 წელი
ამონაგები		2,213,869	2,120,015
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(1,414,010)	(1,508,918)
საერთო მოგება		799,858	611,096
სხვა შემოსავალი		19,093	80,468
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	1	(916,954)	(732,521)
ცვეთა და ამორტიზაცია		(11,966)	(14,412)
მოგება ზარალი საკუროსო სხვაობიდან		(11,832)	(10,803)
სულ საოპერაციო ხარჯები		(921,660)	(677,269)
მოგება დაბეგრამდე		(121,801)	(66,173)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მიმდინარე წლის მოგება		(121,801)	(66,173)

2021 დასრულებული წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწყისდებო კაპიტალი	საწყისდებო კაპიტალის ცვლილება	გაუნაწილებელი მოგება	პერიოდის მ/ ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	370,700		152,832		523,532
წლის შემოსავალი/ზარალი				(66,173)	
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	370,700		152,832		457,359
წლის შემოსავალი/ზარალი				(121,801)	
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	370,700		86,659		335,558

შპს „სერვის პლაზა“-ს დირექტორი
ნინო ფირცხალავა



7-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

2021 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2021 წელი	2020 წელი
შემოსავალი	2,339,357	2,172,347
სულ წედლეულის გასავალი	(1,166,115)	(1,116,638)
ხელფასები	(537,915)	(368,640)
სხვა ხარჯები	(242,076)	(249,085)
გადასახადები	(445,482)	(389,126)
სულ ფული და ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(52,230)	48,858
ძირითადი საშუალებების შეძენა		(3,464)
სულ ფული და ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	(3,464)
სულ ფული და ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-	-
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	117,442	72,048
ფული და ფულადი სახსრების ცვლილება პერიოდის განმავლობაში	(52,230)	45,394
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	65,211	117,442

შპს „სერვის პლაზა“-ს დირექტორი
ნინო ფირცხალავა



7-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

6. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებულ მხარეს შორის ოპერაციები არ ფიქსირდება, თუმცა ფიქსირდება ოპერაციები ისეთ კომპანიებთან, რომელშიც შპს „სერვის პლაზა“-ს მეწილეები მნიშვნელოვან წილს ფლობენ. ურთიერთობა ხორციელდება საბაზრო ფასებით.

7. ფინანსური რისკები

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან. ესენია სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები. კომპანიის რისკის მართვა მიზნად ისახავს კომპანიის ფინანსურ საქმიანობაზე უარყოფითი გავლენის მაქსიმალურად შემცირებას.

სავალუტო რისკი არის საფრთხე, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება სავალუტო კურსის ცვლილების გამო შეიცვლება. თუ გავითვალისწინებთ იმას რომ კომპანიის მომწოდებლებიდან მნიშვნელოვანი რაოდენობა არის უცხოელი მომწოდებელი, მაგრამ საქონლის შეძენა ხდება წინასწარი გადხდის პირობით, რაც ნიშნავს, რომ კომპანია არ ექვემდებარება კრედიტორული დავალიანების გადაფასებით გამოწვეულ ფინანსურ რისკებს. თუმცა აუცილებელია სარეალიზაციო პროდუქციის ფასების სწორად დადგენა, რათა არ მოხდეს საბრუნავი თანხების განუზომელი ზრდა შესასყიდი პროდუქციის ლარებში ღირებულების გაზრდის გამო.

8. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2022 წლის 30 სექტემბერს.

შპს „სერვის პლაზა“-ს დირექტორი

ნინო ფირცხალავა

